2. სამუშაოების წარმოების ეტაპები.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დაყოფილია ორ ეტაპად:

- I ეტაპი - მისამზადებელი სამუშაოები.
- II ეტაპი - სადადემონტაჟო სამუშაოების ძირითადი ეტაპი

სადემონტაჟო სამუშაოების საერთო ხანგრძლივობა განისაზღვრა სნ.დაწ. 04.03-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"-ს შესაბამისად და შეადგენს 9 დღეს. (იხ. დანართი №2 - სადემონტრაჟო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი)

2.1 მოსამზადებელი სამუშაოები:

1. კამერალური

- სამუშაოების წარმოების პროექტის მომზადება.
- სახელმწიფო სამსახურებიდან სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე სათანადო ნებართვის მიღება.
- სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა.

2. ობიექტზე ჩასატარებელი მოსამზადებელი სამუშაოები:

- არსებული საინჟინრო ქსელებიდან გამორთვა, მათი არსებობის შემთხვევაში.
- ტერიტორიის შემოღობვის მდგომარეობის მოყვანა ნორმების შესაბამისობაში და გამაფრთხილებელი ნიშნების გაკვრა.
- სამუშაოების წარმოების ადგილზე მწვანე ნარგავების დაცვა მექანიკური და-ზიანებებისაგან.

2.2 ძირითადი ეტაპის სამუშაოები:

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება ხორციელდება დაგეგმილი რი-გითობის შესაბამისად.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება ხდება შემდეგი რიგითობით.

- შენობის სახურავის დემონტაჟი ხელით და დასაწყობება.
- სახურავის და გადახურვის ხის კონსტრუქციების დემონტაჟი ხელით, და დასაწყობება.
- კაპიტალური კედლების დაშლა ხელით.

(ხელით სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება განხორციელდეს მხოლოდ შენობის კონსტრუქციების ჩამონგრევის საშიშროების არარსებობის შემთხვევაში.)

- შენობის კედლების დაშლის შემდეგ ხდება სამშენებლო ნ[illegible] დალაგება ა/თვითმცლელებზე და გატანა.